ალექსანდრე წულაძე

იურიდიული კომპანია „CCL Law Firm"-ის პარტნიორი

აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა	2
პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)	2
დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები	3
კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი	3
კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა	4
კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები	9

ალექსანდრე წულაძე – 2011-2012 წლებში ბატონი ალექსანდრე წულაძე მუშაობდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მრჩევლად. 2012-2014 წლებში იგი იყო უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ხოლო 2014-2015 წლებში ამავე დეპარტამენტის უფროსი. 2015-2017 წლებში კანდიდატი მუშაობდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ჯერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსად, ხოლო შემდეგ – საერთაშორისო თანამშრომლობისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსად. 2017 წლიდან დღემდე, იურიდიული კომპანია „CCL Law Firm"-ის მმართველი პარტნიორია.

ღია საზოგადოების ფონდი

1. კანდიდატის პროფესიული საქმიანობა

1.1. აკადემიური საქმიანობა / პუბლიკაციები

კანდიდატ ალექსანდრე წულაძის საქმიანობასთან დაკავშირებით, საჯარო წყაროებით ხელმისაწვდომი ინ-ფორმაცია საკმაოდ მწირია. თუმცა, დოკუმენტის ავტორებს ხელი მიუწვდათ მის მიერ მომზადებულ სადი-სერტაციო ნაშრომზე, რომელიც 2016 წელს გამოქვეყნდა და განთავსებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე[1].

სამართლის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად კანდიდატის მიერ მომზადებული სადისერტაციო ნაშრო-მის თემაა „სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში“. ნაშრომში მოცემული მსჯელობა, ძირითადად, ეყრდნობა უცხოურ ლიტერატურას/წყაროებს და აღწერილობითი ფორმითაა წარ-მოდგენილი სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელებული მედიაციის მოდელები.

საქართველოში სასამართლო მედიაციის განვითარების ნაკლოვანებებზე მსჯელობისას, კანდიდატი მიუთი-თებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უარყოფით როლზე, რომელმაც, გარდა იმისა, რომ არ შეიმუშავა საერთო ხედვის ამსახველი სასამართლო მედიაციის სტრატეგია, ასევე, საბჭოს ახალი შემადგენლობა არასათანა-დოდ ჩაერთო განვითარების პროცესში. კანდიდატის შეფასებით, ამ მიმართულებით კოორდინირების არარ-სებობა, მათ შორის, „ქმნის ფავორიტიზმისა და მიკერძოებულობის რისკებს სასამართლო სისტემაში [...]“.

[1] იხ. http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/aleqsandre_wuladze.pdf

2. პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)

1. დისციპლინური წარმოება – არსებული საჩივრები

- კანდიდატის მიმართ დისციპლინური სახდელი გამოყენებული არ ყოფილა.

2. პროფესიული ეთიკის ნორმების სავარაუდო დარღვევა

- ეთიკის ნორმების დარღვევა არ ფიქსირდება.

3. დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები

1. კარიერული განვითარება

- კანდიდატი ალექსანდრე წულაძე 2005-2006 წლებში საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სტაჟიორი იყო. 2006-2007 წლებში იგი სტაჟირებას გადიოდა იუსტიციის სამინისტროს ნორმატიული აქტების სისტემატიზაციისა და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტში.
- 2007-2009 წლებში ბატონი ალექსანდრე წულაძე იყო კერძო იურიდიული კომპანიების იურისტი. 2011 წელს ალექსანდრე წულაძეს თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ბიუროს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობა ეკავა. **2011-2012 წლებში იგი მუშაობდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მრჩეველად.**
- 2012-2014 წლებში ბატონი ალექსანდრე წულაძე იყო უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ხოლო 2014-2015 წლებში ამავე დეპარტამენტის უფროსი. 2015-2017 წლებში იგი მუშაობდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ჯერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსად, ხოლო შემდეგ – საერთაშორისო თანამშრომლობისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსად.
- 2017 წლიდან დღემდე კანდიდატი ალექსანდრე წულაძე იურიდიული კომპანია „CCL Law Firm"-ის მმართველი პარტნიორია.
- 2018 წლიდან ბატონი ალექსანდრე წულაძე არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტის თანა-თავმჯდომარე.

2. მიღებული ჯილდო / სტიპენდია

- კანდიდატი ალექსანდრე წულაძე 2014 წელს იყო Weinstein Senior Fellow, JAMS-ის სტიპენდიანტი.
- 2014 წელს გახდა შოთა რუსთაველის ფონდის გრძელვადიანი კვლევითი სტიპენდიის მფლობელი.
- 2013 წელს იყო მაქს პლანკის საერთაშორისო კერძო და შედარებით სამართლის ინსტიტუტის მოწვეული მკვლევარი და სტიპენდიანტი.
- 2010 წელს იტალიაში მოიპოვა ოქროს რონდინის პრემია.
- 2009 წელს ბატონმა ალექსანდრე წულაძემ მოიპოვა იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამაგისტრო სწავლების სტიპენდია.
- 2006 წელს კანდიდატი იყო სამართლებრივი ოლიმპიადის „ადამიანები და კონსტიტუცია" ფინალისტი.

4. კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები / ჯარიმები, სასამართლო დავები

- ბატონი კანდიდატი ალექსანდრე წულაძე ნასამართლევი არ ყოფილა.
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ფიქსირდება საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო.

- სასამართლო დავებში კანდიდატი ალექსანდრე წულაძე არ მონაწილეობდა მხარედ.

2. პარტიული კუთვნილება, ინტერესთა კონფლიქტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთან, კავშირი პოლიტიკოსებთან / გავლენიან ადამიანებთან

- ბატონი ალექსანდრე წულაძე არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი.
- კანდიდატ ალექსანდრე წულაძის კავშირი პოლიტიკოსებთან ან გავლენიან ადამიანებთან არ იკვეთება.

5. კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა

1. სოციალურ ქსელში დაფიქსირებული მოსაზრებები

კანდიდატ ალექსანდრე წულაძის პერსონალური ანგარიში რეგისტრირებულია სოციალურ ქსელ „Facebook"-ზე, თუმცა იგი არ აფიქსირებს საჯარო მოსაზრებებს მის გვერდზე.

2. ალექსანდრე წულაძის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებები

2.1 განცხადება კომერციული დავების მოგვარების პროცესში სპეციალიზებული მედიატორები ჩართვასთან დაკავშირებით

2017 წლის 29 დეკემბერს კანდიდატმა კომერციული დავების მოგვარების პროცესში სპეციალიზებული მედიატორები ჩართვასთან დაკავშირებით ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა:

> **„თუ სასამართლოს ერთი დავის განხილვა საშუალოდ 5000 ლარი უჯდება, მედიაცია 1000 ლარზე ნაკლები ჯდება. ამასთან, სასამართლოს ყველა ინსტანციაში დავის დასრულებას ჯამში ოთხი წელი სჭირდება, ხოლო მედიაციის შემთხვევაში მხარეები მორიგებამდე საშუალოდ 2 კვირაში მიდიან... 2008 წლის ევროდირექტივაში მითითებულია, რომ მართლმსაჯულების პოლიტიკის შემმუშავებელმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ბალანსის დაცვა მედიაციითა და სასამართლოთი დავების გადაწყვეტას შორის, რაც გულისხმობს იმას, რომ უნდა არსებობდეს გარკვეული ბალანსი სასამართლოში შემოსულ საქმეებსა და სამედიაციოდ გადაცემულ საქმეთა რაოდენობას შორის.**

ჩვენთან, რასაკვირველია, სასამართლო ბევრად მეტ დავას იხილავს. შესაბამისად, ძალიან დაბალია მორიგებით საქმეთა დამთავრების მაჩვენებელი. აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად, აუცილებელია, ხელისუფლების სამივე შტოს ჩართულობა და ზრუნვა ამ პრობლემის გადასაწყვეტად. მედიაციის ინსტიტუტის მიმართ ცნობიერების ამაღლების კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია, სამართლის ყველა სკოლაში ისწავლებოდეს მედიაცია და მომავალ იურისტებს კარგად ესმოდეთ მისი უპირატესობები. დღეს უკვე თბილისის მასშტაბით ბევრ წამყვან სამართლის სკოლაში ისწავლება კიდეც ის".[1]

[1] „ბიზნესდავების მოგვარებაში სპეციალიზებული სასამართლო მედიატორები ჩაერთვებიან" 29 დეკემბერი, 2017, ხელმისაწვდომია https://bit.ly/2lWgL3P

3. კანდიდატ ალექსანდრე წულაძის გასაუბრება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

საბჭოს წევრის, ლევან გზირიშვილის შეკითხვა ალექსანდრე წულაძეს: **„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, მოწოდება – კვალიფიციური პრივილეგიით. როგორ გესმით, რას გულისხმობს ეს?“**

კანდიდატის პასუხი:

მე პირადად, ეს ასე მესმის, და სხვათა შორის, მარტო ჩემი მოსაზრება არ არის ეს, ასევე სხვა ავტორების მოსაზრებაც არის, ანუ რა არის აზრი, რა არის აზროვნების პროდუქტი და რა არის მოწოდება და გამოხატვა. აზრი თვითონ აბსოლუტურია, იმიტომ რომ ჩვენს გონებაში, ჩვენს აზროვნებაში რა იდეა მოგვივა, სადამდე მივალთ, არავის და არასდროს არ შეიძლება შეეძლოს ამის შეზღუდვა. თუმცა, როდესაც ჩვენ უკვე მოწოდებას ვახდენთ, აი, აქ, ამ ეტაპიდან ის უკვე აბსოლუტური პრივილეგიით ვეღარ სარგებლობს. ანუ როდესაც უკვე ხელმისაწვდომი ხდება, სუბიექტური მოცემულობიდან გადადის ობიექტურ, ანუ გარე სამყაროში. ამ შემთხვევიდან ის უკვე საფრთხიდან გამომდინარე უკვე შეიძლება შეიზღუდოს.“

ლევან გზირიშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„დავუშვათ პრეზერვატივზე გამოსახეს თამარ მეფე. ეს რამდენად შეიძლება ჩავთვალოთ რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფად განყენებული მოქალაქისათვის?“**

კანდიდატის პასუხი:

ამ კუთხით მე შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს კონსტიტუცია გამოხატვის თავისუფლების კიდევ უფრო მაღალ სტანდარტს ითვალისწინებს, ვიდრე ევროკონვენცია. აქედან გამომდინარე და, რამდენადაც მე ვიცი, ტელევიზიიდან ვიცი ამ საქმის შედეგი, ასე ვთქვათ, როგორ დასრულდა, მახსოვს შეიზღუდა. თუმცა, ამის სისხლის სამართლებრივი, ასე ვთქვათ, კვალიფიკაციის მინიჭებას მე ვეწინააღმდეგები, მიუხედავად იმისა, რომ რა თქმა უნდა, ვხვდები, ეს საკითხი ძალიან ბევრი ადამიანისთვის ძალიან სენსიტიური იქნება და ბევრი ადამიანისთვის გამაღიზიანებელი, მათი შეხედულებების და ღირებულებების შემლახავი იქნება“.

საბჭოს წევრის, ირაკლი ბონდარენკოს შეკითხვა კანდიდატს: **„რატომ არ შეიძლება კანონის მიღებაზე რეფერენდუმის დანიშვნა თქვენი აზრით?“**

კანდიდატის პასუხი:

მე ვფიქრობ, კანონშემოქმედება ზოგადად არის საქართველოს პარლამენტის ექსკლუზიური უფლებამოსილება. აქ ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია ასევე ის, რომ რეფერენდუმით მიღებული შედეგის გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმით და ჩვენ რომ კანონი რეფერენდუმით მივიღოთ, იმის გარდა, რომ ექსკლუზიურ უფლებამოსილებაში ჩავერევით, მერე ამ კანონში შეცვლა ან დამატება ან გაუქმება ისევ რეფერენდუმით უნდა მოხდეს“.

ირაკლი ბონდარენკოს შეკითხვა კანდიდატს: **„განსხვავდება უფლებები და თავისუფლებები ერთმანეთისგან? და თუ განსხვავდება რით განსხვავდება?“**

კანდიდატის პასუხი:

უფლებები და თავისუფლებები ერთმანეთისგან განსხვავდება, ანუ თავისუფლება ეს არის იმ შესაძლებლობების კატეგორია, რომელსაც არ სჭირდება სახელმწიფოს მოვალეობა, მხოლოდ უზრუნველყოფა სჭირდება. პირობითად თავისუფლებები, რომლებიც გვაქვს მოცემული კონვენციის

მე-8, მე-9, მე-10 მუხლებში, ამ შემთხვევაში ეს არის, ჩემი უფლება და მთავარი არის სახელმწიფომ ასე ვთქვათ, არ შემიზღუდოს ამ უფლების გამოხატულება. რაც შეეხება უფლებებს ანუ ჩვენი უფლებები, ასე ვთქვათ, კონსტიტუციურ უფლებებს ვგულისხმობთ, მიმართულია სახელმწიფოსკენ. უფლებების ნაწილში, ანუ ის მათი ფორმა... ისევე როგორც თავისუფლებების, ზოგადად სახელმწიფოს აკისრია პოზიტიური და ნეგატიური მოვალეობები დაიცვას როგორც უფლებები ისე თავისუფლებები."

საბჭოს წევრის, ДИМИТРИ ГВРИТИШВИЛИС შეკითხვა კანდიდატს: **„რატომ არის სიცოცხლის უფლება და არა თავისუფლება?"**

კანდიდატის პასუხი:

არიან ადამიანები, ვისაც მიაჩნია, რომ სიცოცხლის უფლება, იქედან გამომდინარე, რომ შესაძლოა ჰქონდეს ნეგატიური ასპექტები, ანუ მე შემიძლია უარი ვთქვა ჩემს სიცოცხლეზე, თავისუფლებათა კატეგორიას მიეკუთვნება".

საბჭოს წევრის, РЕВАЗ НАДАРАИАС შეკითხვა კანდიდატს: **„შეიძლება თუ არა სანქცირებული შეკრების დაშლამ გამოიწვიოს კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა? და მტკიცების ტვირთი ვისზეა?"**

კანდიდატის პასუხი:

რა თქმა უნდა, ეს რელატიური უფლებაა. სახელმწიფოებს აქვთ უფლება, ჩაერიონ ამ თავისუფლების განხორციელებაში, თუმცა, ჩარევა არ იქნება გამართლებული და შეზღუდვა არ იქნება გამართლებული, მხოლოდ იმის გამო, რომ შეკრება არ იყო სანქცირებული. ამ უფლებასთან ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული შეკრების და მანიფესტაციის გამართვის დრო და ადგილი, შეიძლება იყოს რაღაც შემთხვევა, როდესაც საზოგადოებამ გამოხატა პროტესტი ძალიან ექსპრომტად და არ იყო იმის საშუალება, რომ შეეთანხმებინათ ჩატარების დრო და ადგილი სახელმწიფო ორგანოებთან და მხოლოდ ამ მიზეზით მათი დაშლა ეწინააღმდეგება კონვენციას. მტკიცების ტვირთი, რა თქმა უნდა, სახელმწიფოზეა, სახელმწიფომ უნდა ამტკიცოს. ზოგადად, შეკრების უფლება ვრცელდება, რა თქმა უნდა, მშვიდობიან შეკრებაზე, ეს ხაზგასასმელი კომპონენტია ანუ ეს არ არის რაღაცა შეფასებითი კრიტერიუმი, შეკრების მართლზომიერების შეფასების კრიტერიუმი კი არ არის, ზოგადად შეკრების თავისუფლება ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს არის მშვიდობიანი. თუმცა მისი დაშლა და დარბევა უნდა იყოს უკიდურესი საშუალება, ამ შემთხვევაში, თქვენს კითხვას, რომ დავუბრუნდე მტკიცების ტვირთი არის თავიდან ბოლომდე სახელმწიფოზე, მან უნდა დაასაბუთოს ის რომ შეკრება გასცდა მშვიდობიან ხასიათს და ეს არ იყო მხოლოდ კონკრეტული ადამიანების ნაწილი, არამედ მთლიანად მისი ორგანიზატორების ჩართულობაც იყო იმ პროცესში, როდესაც ის გადაიზარდა ძალადობაში."

საბჭოს წევრის, НАЗИ ЗАНЕЗАШВИЛИС შეკითხვა კანდიდატს: **„თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ მოსამართლის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში? რა შეუძლია რომ გააკეთოს მოსამართლემ, რა ბერკეტი აქვს მოსამართლეს იმისათვის, რომ დაიცვას ადამიანის უფლებები, თუნდაც, მკაცრი კანონების პირობებში?"**

კანდიდატის პასუხი:

მე, სხვათაშორის, ჩემს განცხადებაშიც დავწერე, რომ მოსამართლე, პირველ რიგში, უნდა იყოს ადამიანის უფლებების მცველი. ადამიანის უფლებების დაცვა, არის მისი პირველი ამოცანა. ნებისმიერი კანონმდებლობის პირობებში გამოიყენოს ის გზები და საშუალებები, რაც არის იმისთვის, რომ მოსამართლემ მოახერხოს მოქალაქის უფლებების დაცვა, ეს მისი ვალდებულებაა.

მოგეხსენებათ, რომ თვითონ შეუძლია კონსტიტუციიდან და საერთაშორისო ნორმებიდან გამომდინარე მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც დაიცავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს ამის გარდა არის საშუალებები, რომ მან იმოქმედოს კანონის ხარისხს თუ პრობლემა აქვს და კანონმდებლობას თუ პრობლემა აქვს ამ კანონმდებლობის აღმოფხვრის მიზნით".

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „მაინტერესებს თქვენი დამოკიდებულება შეურაცხყოფასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება იყო მიმართული მოსამართლის წინააღმდეგ. სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლია. თქვენი აზრით რას ნიშნავს შეურაცხყოფა, რომელიც მოსამართლის მიმართ შეიძლება მიმდინარეობდეს და რომელ ფაქტორებს გაითვალისწინებდით ამ შემთხვევაში?"

კანდიდატის პასუხი:

შეურაცხყოფა, ჩემი აზრით, ეს იქნება ყოველგვარი იდეისგან თუ ღირებულებისგან დაცლილი გამოხატვის თავისუფლების რაღაც ფორმა, რომელიც მიმართული იქნება ადამიანის თვითშეფასების, ღირსების შელახვისკენ და არა ის, რომ მას კონკრეტულად მიზანი ამოძრავებს ან ინფორმაცია ან იდეა გააჟღერა. თქვენ როგორც ახსენეთ, არსებობს ამის დამარეგულირებელი კანონმდებლობა, როდესაც მოსამართლის წინააღმდეგ მიემართება, სასამართლო დარბაზში, სხდომის დარბაზში ან მის გარეთ. პრინციპში ამის შესახებ ფაქტობრივად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონვენციის მე-10 მუხლში არის პირდაპირ ჩაწერილი ხომ, რომ გამოხატვის თავისუფლება გარკვეული ფორმით, მითუმეტეს, მაშინ, როცა სასამართლოს და სასამართლო ხელისუფლებასთან მიმართებაში შეიძლება შეიზღუდოს და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს შეურაცხყოფა ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ. შეურაცხყოფას მეორეს მხრივ ანუ... მე თუ სწორად გავიგე თქვენი კითხვა, განვიხილავთ სიძულვილის ენის კონტექსტშიც ხომ? ამ მხრივ თუ ხდება დისკრიმინაციული ან ძალადობრივი, მოწოდების თვალსაზრისით, იმისთვის, რომ ადამიანს მიაყენოს შეურაცხყოფა. ამ თვალსაზრისით, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაც შესაძლებელი არის და ჩვენს კანონმდებლობაშიც არის ამის დამცავი მექანიზმები".

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „თქვენი აზრით, რა განსხვავებაა პირველ, მეორე და მესამე ინსტანციის სასამართლოებს შორის?"

კანდიდატის პასუხი:

განსხვავება პიროვნულად მოსამართლეებს შორის არ არსებობს. მეორე მხრივ, საკასაციო სასამართლო უფრო მეტად განმარტებებზე უნდა იყოს ორიენტირებული. საკასაციო და სააპელაციო სასამართლოს შექმნის იდეა მართლმსაჯულების ხარისხის კონტროლია".

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-13 მუხლზე თუ გაცნობიხართ პრაქტიკას და რას ნიშნავს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება, თქვენი აზრით?"

კანდიდატის პასუხი:

სამართლიანი სასამართლოს, ანუ მე-6 მუხლის ჭრილშიც შეიძლება განვიხილოთ, თუმცა, სიმართლე გითხრათ ახლა კონკრეტული პასუხი არ მახსენდება."

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „რას ფიქრობთ ვიწრო სპეციალზიაციებზე? [...] თუ შეგიძლიათ ეს საკითხი საქმეთა ელექტრონული განაწილების კონტექსტშიც რომ მიმოიხილოთ".

კანდიდატის პასუხი:

ჩემი, როგორც იურისტის პოზიცია, ვიწრო სპეციალზიაციასთან დაკავშირებით, დადებითია. ვიწრო სპეციალზიაციაა ხშირად ის მიზეზი, რის გამოც ადამიანები არბიტრაჟს ირჩევენ ხოლმე. [...] თუმცა, ვიწრო სპეიალიზაციას აქვს რისკი. [...] რაც შეეხება განაწილების საკითხს, შემთხვევითი განაწილებაც რაღაც ფარგლებში ხდება. თუ სასამართლოს მიმართ კომპეტენციის და ნდობის ნაწილში პრობლემა არ გვექნება, არც ეს საკითხი იქნება პრობლემური".

საბჭოს წევრის, სერგო მეთოფიშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„რა ქმნის სამართლებრივ ღირებულებათა სისტემას?"**

კანდიდატის პასუხი:

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლში, ანუ წინა კონსტიტუციის მე-7 მუხლში, მოცემული არის ასეთი ჩანაწერი, რომ ადამიანის უფლებები არის უზენაესი ღირებულება და ვფიქრობ, რომ ეს ჩანაწერი, ადამიანის ძირითადი უფლებები, არის ის ბაზა, რაზეც ემყარება სამართლებრივი ღირებულებები. ადამიანის უფლებებზე და თავისუფლებებზე დგას სამართლებრივი ღირებულებათა სისტემა. ამას მოჰყვება შემდეგ ვთქვათ იგივე, „ნორმატიული აქტების შესახებ" კანონი ითვალისწინებს, მაგრამ მთავარი საწყისი ეს არის ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები ქმნის ყველა სამართლის დარგისთვის ღირებულებათა სისტემას, რომელიც ყველა სამართლის სისტემაში, დარგში არის ასახული".

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „თქვენი შეფასება მაინტერესებს პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებით. ერთი მხრივ, თუ შეგიძლიათ კანონმდებლობა რომ შევაფასოთ, მოგწონთ თუ არა, ან რამე არის თუ არა ბუნდოვანი და არასაკამრისად რეგულირებული და პრაქტიკაც როგორია მოსამართლეების შერჩევასა და დანიშვნასთან მიმართებით?"

კანდიდატის პასუხი:

იცით, სიმართლე გითხრათ, კონკრეტული ინფორმაცია ამ მიმართულებით არ მაქვს. თუმცა, ჩემი შეხედულებით, უვადოდ მოსამართლეების განწესება საკმაოდ დიდ შედეგს მოიტანს მომავალში და ეს იქნება სასამართლოს დამოუკიდებლობისათვის გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ყოველ შემთხვევაში, ამისი იმედი მაქვს მეც და საზოგადოებასაც. მოსამართლეების დანიშვნის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახსენდება, რომ სახელდებოდა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში არსებული პერიოდი და ანაზღაურება. ბევრი ჩემი კოლეგა, კარგი პროფესიონალი, რომელსაც სასამართლო სისტემაში დასაქმების სურვილი აქვს, სკეპტიკურად უყურებდა პროცესს, რომ ჯერ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ხდება მსმენელების ჩარიცხვა, შემდეგ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში არის ეტაპი და კვლავ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ნიშნავს მოსამართლეებს. გამოდის, რომ გადაწყვეტილეაბს, როცა იღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომ გახდე მსმენელი, არ გაქვს გარანტია, რომ გახდები მოსამართლე. [...] ეს სისტემაში შემოსვლის პროცესს არ აადვილებს".

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „თქვენი აზრით, როგორ შეიძლება საბჭომ შეაფასოს კეთილსინდისიერება? მაგალითის მოყვანა თუ შეგიძლიათ, რომ თქვენ ავლენთ მედეგობას, დამოუკიდებლობას და ა.შ?"

კანდიდატის პასუხი:

კეთილსინდისიერების დაკავშირება მედეგობასთან, სიმართლე გითხრათ, მიჭირს. მედეგობას, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ადამიანისთვის, მათ შორის მოსამართლის შემთხვევაშიც. [...] მოსამართლემ კეთილსინდისიერად უნდა იმოქმედოს სისტემაშიც, კოლეგებთან მიმართებითაც".

6. კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები

1. უძრავი ქონება

2019
ანტიკვარული ავეჯი
189 750 ₾

2019
არასაცხოვრებელი
ფართი თბილისში
1 500 ₾
(6 კვ.მ)

2019
სარდაფი
თბილისში
1 000 ₾
(8 კვ.მ)

2018
ბინა თბილისში
514 000 ₾
(239 კვ.მ)

2018
ავტოფარეხი
თბილისში
25 700 ₾
(21 კვ.მ)

2018
ბინა თბილისში
(50 კვ.მ)

2018
ბინა თბილისში
(110 კვ.მ)

2017
ანტიკვარული
როიალი
29 880 ₾

2016
ავტოფარეხი
თბილისში
(20 კვ.მ)

2016
ავტოფარეხი
თბილისში
(20 კვ.მ)

2017
მიწის ნაკვეთი
გარდაბანში
70 000 ₾
(1 000 კვ.მ)

2011
ავტომანქანა
10 080 ₾

2. ფინანსები

კანდიდატი ალექსანდრე წულაძე შპს „კომერციული სამართლის ლაბორატორიის“ დირექტორია, აღნიშნული საქმიანობიდან შრომის ანაზღაურების სახით 2018 წელს 39,520 ლარი მიიღო. 2017 წელს, კომპანიის ყოფილმა მესაკუთრემ დავით კუხალაშვილმა კომპანია კანდიდატ ალექსანდრე წულაძეს 1 ლარად მიჰყიდა. 2017 წლიდან დღემდე ალექსანდრე წულაძე არის, როგორც კომპანიის 100% წილის მფლობელი, ასევე დირექტორი. პარალელურად, 2018 წელს კანდიდატი ალექსანდრე წულაძე ეწეოდა აკადემიურ საქმიანობას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რის შედეგადაც, შრომის ანაზღაურების სახით 1297 ლარი მიიღო.

ანტიკვარული ავეჯი	189 750	₾	2019 წელი
ბინა და ავტოფარეხი თბილისში	539 700	₾	2018 წელი
ფულადი საჩუქარი მამისგან	539 700	₾	
ანტიკვარული როიალი	29 880	₾	2017 წელი
მიწის ნაკვეთი გარდაბანში	70 000	₾	2009 წელი

ავტორები: ედუარდ მარიკაშვილი, ანა ნაცვლიშვილი, გიორგი ბერაია, ირაკლი გვარამაძე, ზაზა აბაშიძე

რედაქტორები: დავით პაიჭაძე, გიორგი ჩიტიძე, სოფიო ასათიანი, ინა გრიგალაშვილი დიზაინი: ბესიკ დანელია

ფონდი დოკუმენტის მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას უხდის:
სალომე კვირიკაშვილს, მარიამ ორჟონიას, ლაშა ჯუღელს, თინათინ ჭაჭუკაშვილს, გვანცა კახიძეს,
თეონა ბაბუციძეს, ხატია ნიკოლაიშვილსა და შოთა ქობალიას

მ ო მ ზ ა დ ე ბ ულ ი ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ღ ი ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ფ ო ნ დ ი ს მ ი ე რ